საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**13**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**14**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**70**	**100**

სახელი, გვარი:

თარიღი : 19.07.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის #1/47 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატი თამარ ალფაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u> **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების	☐	

კრიტერიუმს		მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	თამარ ალფაიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში (სტატუსი აქტიური). აღნიშნული გარემოება, კანდიდატის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ განწესების შემთხვევაში, წარმოშობს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. თამარ ალფაიძის რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ძირითადად ახასიათებენ დადებითად. რეკომენდატორი მიუთითებენ მის კომუნიკაბელურობაზე, თავისუფალი აზროვნების უნარზე, დამოუკიდებლობაზე, პრინციპულობასა და სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმაზე. ამასთან, მიუთითებენ სისუსტეებზეც, კერძოდ: გადაჭარბებული ამბიცია და ზედმეტი გართობა, პირადი ურთიერთობებში არათანმიმდევრულობა და იმიჯის გაუფრთხილებლობა. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი ძირითადად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, თუმცა ცალკეული მახასიათებლებით უჭირთ შეფასება.

		იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, სამართლიანს, პრინციპულს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთი რეკომენდატორი არ არის დარწმუნებული მის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალურობაში. კანდიდატი 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ დისციპლინური

		დევნა არ დგინდება. კანდიდატი დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე. ამასთანავე ორ სამოქალაქო საქმეში იყო მოპასუხე. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავაზიანი, კარგად აღზრდილი, მშვიდი პიროვნება. ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ თამარ ალფაიძე არათანმიმდევრული და არასაიმედოა პიროვნული თვისებების გამოვლენაში. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს უჭირდა საკუთარი ემოციების მართვა. მან უარი განაცხადა ეპასუხა დასმული კითხვების უმრავლესობაზე, რის მიზეზადაც სტრესული მდგომარეობა დაასახელა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ ძირითადად დადებითად. თუმცა ზოგ შემთხვევაში უჭირთ მისი შეფასება, ერთი რეკომენდატორი მიიჩნევს, რომ აქვს გადაჭარბებული ამბიცია, გარდა ამისა, ნაკლებად მუშაობს საკუთარი უნარ-ჩვევების დახვეწასა და რეპუტაციის შენარჩუნებაზე. კანდიდატი მრავალი წლებია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მათ შორის მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს

			მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**13**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი სათანადოდ იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროს ცალკეულ პრობლემებს. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას თამარ ალფაიძემ ვერ გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. გასაუბრებისას კანდიდატმა სრული პასუხი გასცა მხოლოდ ერთ კითხვას - სახელმწიფო სიმბოლოების თაობაზე. არასრული პასუხი გასცა კითხვას ინივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე. კანდიდატმა უარი განაცხადა ეპასუხა დანარჩენ შეკითხვებზე. ჩატარებული გასაუბრების მიხედვით, შეუძლებელია შეფასდეს სამართლის რომელ დარგში რა ცოდნას ფლობს კანდიდატი, ეცნობა თუ არა ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

			შესაბამისად მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა არ არის თვალსაჩინო და დამაკმაყოფილებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	14	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს ფაქტობრივად არ უმსჯელია მის მიმართ დასმულ სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებზე. მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (სამეცნიერო პუბლიკაციები - სამართლისა და მორალის ევოლუცია; სამართლის ჰუმანური პრინციპები; მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება; ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება), შეიძლება ითქვას, რომ არის დასაბუთებული. ჩანს, რომ მას შეუძლია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე წერილობითი მსჯელობა. როგორც უკვე აღვნიშნე, გასაუბრების ეტაპზე სამართლებრივი კითხვების უმრავლესობას არ უპასუხა (სრული პასუხი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე). მიმაჩნია, რომ კანდიდატს აკლდა თავდაჯერებულობა. საჯარო მოსმენის შემდეგ მივიჩნევ, რომ უცნობია რამდენად შესწევს კანდიდატს უნარი სწორად და სრულად შეაფასოს სამართლებრივი პრობლემა და საფუძვლიანი მსჯელობა განავითაროს შესაბამისი მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი პოზიტიურად ვერ შეფასდება.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

			წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა რაციონალური და თანმიმდევრულია. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა ისაუბრა საკუთარ მოტივაციაზე. ჩემის აზრით, კანდიდატი მეტყველებს გამართულად, თუმცა უჭირს აზრის თანმიმდევრულად ჩამოყალიბება. აქვე უნდა ითქვას, რომ მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღეობის უნარი.
პროფესიული თვისებები	**14**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი კარგად ადაპტირდება ცვლილებებთან, არის შრომისმოყვარე, აქვს გუნდურად მუშაობის უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძე მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. კანდიდატს მოპოვებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის

			მრავალი სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი. კანდიდატი მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას რამოდენიმე უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული ამ ეტაპზე წარმოადგენს მისი ძირითადი საქმიანობის სფეროს.
ქულათა ჯამი	**70**	**100**	

თარიღი : 19.07.2024

ხელმოწერა: